

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ნებისმიერი უსასრულო სიმძლავრის მქონე ასიმეტრიული ხეების (ასიმეტრიული ეწოდება ხეს, რომელსაც გააჩნია მხოლოდ ტრივიალური ავტომორფიზმი) არსებობისა და მათი რაოდენობის საკითხი. მოყვანილია ასიმეტრიული ხეების კონსტრუქციის სხვადასხვა მაგალითი [16][19]. დაწვრილებით არის განხილული ლ. ბაბაის კონსტრუქცია. დამტკიცებულია, რომ არსებობს ისეთი ურთიერთარაიზომორფული უსასრულო ასიმეტრიული ხეების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ მხოლოდ წინასწარ დასახელებული ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ხარისხის მქონე წვეროები. ნაჩვენებია ასიმეტრიული ხეების ეფექტური გამოყენება ულამის ამოცანისა და კიონიგის ამოცანის ამოხსნაში და კონტინუუმისა და განზოგადებული კონტინუუმის ჰიპოთეზების ექვივალენტური წინადადებების ფორმულირებებში.